თინათინ იაშვილი, ნონა ღუდუშაური

ადგილობრივი შრომის ბაზარი და მისი გავლენა პროფესიულ განათლებაზე საქართველოში

თინათინ იაშვილი
სტუ-ს პროფესორი

ნონა ღუდუშაური
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

პროფესიული განათლება სოციალურ - ეკონომიკური სფეროს მნიშვნელო-ვანი ნაწილია, რომელიც დიდწილად განაპირობებს ქვეყნის სიძლიერსა და წინსვლას. პროფესიული განათლების მნიშვნელოვანი მიმართულებაა დაეხმაროს ადგილობრივ და საერთაშორისო შრომით ბაზარს შესაბამისი კვალიფიციური კადრების მომზადებაში.

საქართველოს პროფესიული განათლების სისტემა ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი, სახელმწიფოს მხრიდან გატარებული რეფორმები საჭიროებს მეტ სისწრაფეს და მოქნილობას. ერთ-ერთი მნიშვნელოვან პრობლემად რჩება პარტნიორების ჩართულობა. დამსაქმებელი თავად უნდა იყოს მეტად ჩართული და დაინტერესებული სტუდენტის სწავლის პროცესში, რადგან მიიღოს ისეთი კადრი, როგორიც მას სჭირდება. დასაქმების სფეროში ეფექტიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისათვის აუცილებელია ბაზარზე არსებული ვითარების, მიმდინარე და მოსალოდნელი ტენდენციების, უმუშევრობის განმაპირობებელი მიზეზების სისტემური კვლევა.

მოცემულ სტატიაში განხილულია ადგილობრივ შრომის ბაზართან და პროფესიულ განათლებაზე მის გავლენასთან დაკავშირებული საკითხები.

საკვანძო სიტყვები: შრომის ბაზარი, პროფესიული განათლება, დასაქმება, პროფესიული კვალიფიკაცია, კონკურენტუნარიანობა.

ძირითადი ტექსტი

პროფესიული განათლება მორგებული უნდა იყოს ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებზე. შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება და შესაძლებლობების განვითარება პროფესიული განათლების სისტემის უმნიშვნე-ლოვანესი ამოცანაა.

საქართველოს შრომის ბაზრის ძირითადი მახასიათებლების საფუძველზე შესაძლებელია შემდეგი შეფასების გაკეთება: საქართველოსთვის უმუშევრობა კვლავ რჩება ყველაზე მწვავე სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემად. უმუშევრობის გამომწვევი მთავარი ფაქტორია შეზღუდული მოთხოვნა სამუშაო ძალაზე, რაც ეკონომიკის განვითარების ჯერ კიდევ დაბალი დონითა და სამუშაო ადგილების სიმცირით არის განაპირობებული.

უკანასკნელ წლებში საქართველოში გატარებული რეფორმების, ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესების შედეგად მნიშვნელოვნად დაჩქარდა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ტემპები, მაგრამ მეურნეობის ზოგიერთ დარგში (მშენებლობა, მომსახურება) ახალი სამუშაო ადგილების შექმნის პარალელურად მიმდინარეობდა მომუშავეთა რაოდენობის ოპტიმიზაცია (განსაკუთრებით, სახელმწიფო სექტორში). ამის შედეგად, სამუშაო ადგილების საერთო რაოდენობა ქვეყანაში მნიშვნელოვნად არ გაზრდილა. 1990-იან წლებში საქართველოს ეკონომიკურმა კოლაფსმა და ხანგრძლივმა ეკონომიკურმა სტაგნაციამ უმუშევრობის ხანგრძლივი ხასიათი განაპირობა. ეს კიდევ უფრო ამწვავებს უმუშევრობის ნეგატიურ შედეგებს, რადგან ხანგრძლივად უმუშევართა პროფესიული და შრომითი რეაბილიტაცია სახელმწიფოსა და საზოგადოების დამატებით ძალისხმევასა და ხარჯებს მოითხოვს. უმუშევრობის მაღალ დონესა და ხანგრძლივ ხასიათს განაპირობებს ის ფაქტიც, რომ საქართველოში დომინირებს „მეორადი შრომის ბაზარი“ დაბალი ანაზღაურებითა და შრომის მძიმე პირობებით. სამუშაო ძალის მიწოდებაში კი

ჭარბობენ უმაღლესი განათლების ცენზისა და მაღალი მოლოდინების მქონე კადრები. საქართველოსთვის მწვავეა რეგიონული და სეზონური უმუშევრობის პრობლემები. უკანასკნელ წლებში რეგიონების ინფრასტრუქტურის განვითა-რების მიმართულებით ხელისუფლების მიერ წარმოებული ღონისძიებები პოზიტიურ ზეგავლენას მოახდენს მოსახლეობის დასაქმებაზეც. [1]

ქვეყანაში დასაქმების შეზღუდულმა შესაძლებლობებმა და შრომითი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების სიმცირემ ხელი შეუწყო მოსახლეობის ყველაზე აქტიური, შრომისუნარიანი ნაწილის შრომით ემიგრაციას უცხოეთში. უკანასკნელ წლებში ფიქსირდება შრომითი ემიგრაციის მასშტაბების შემცირება და იზრდება ქვეყანაში დაბრუნებულ თანამემამულეთა რაოდენობა. ქვეყანაში მათი დამკვიდრება და მოსახლეობის ემიგრაციული განწყობის შემცირება დიდწილად მათი დასაქმების შესაძლებლობებსა და პირობებზეა დამოკიდებული. საქართველოს შრომის ბაზარზე არასაკმარისი მოთხოვნით განპირობებულ უმუშევრობას კიდევ უფრო ამწვავებს პროფესიებისა და კვალიფიკაციის მიხედვით სამუშაო ძალაზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის არსებული დისბალანსი: მომზადებული კადრების პროფესიული სტრუქტურა და მომზადების ხარისხი ხშირად არ შეესაბამება დამსაქმებელთა მოთხოვნებს. მთელი რიგი პროფესიის კადრები ქვეყანაში მომზადება ჭარბი რაოდენობით და იმავდროულად არსებობს პროფესიათა ფართო სპექტრი, რომლებზეც მოთხოვნა დაუკმაყოფილებელია და რომელთა მომზადება ქვეყანაში არ ხდება.

დასაქმების სფეროში დაგროვილი პრობლემების გადაჭრა ძირითადად ბიზნეს-სექტორის განვითარებაზეა დამოკიდებული. კვლევები ადასტურებს, რომ საქართველოში ბიზნესი ჯერ კიდევ სუსტადაა განვითარებული. იგი ძირითადად მიკრო და მცირე ზომის საწარმოებით არის წარმოდგენილი და თითქმის მთლიანად ადგილობრივ და ქვეყნის შიდა ბაზარზეა ორიენტირებული. [2]

მიზეზები, რომელთა გამოც დამსაქმებლებისათვის რთულია საჭირო პროფესიისა და კვალიფიკაციის კადრების მოძიება, ობიექტური და სუბიექტური ხასიათისაა. ობიექტურ მიზეზებს მიეკუთვნება ის გარემოება, რომ მთელი რიგი პროფესიის კადრები რეგიონსა და ქვეყანაში არ მზადდება. სუბიექტურ მიზეზებს კი მიეკუთვნება გარემოებები, როცა პიროვნებებს არ სურთ კონკრეტულ რეგიონში ანდა შემოთავაზებულ ხელფასზე მუშაობა. ძირითადი მიზეზი, რის გამოც დამსაქმებლებისათვის პრობლემატურია საჭირო კადრების მოძიება, არის სასურველი კვალიფიკაციის კადრების დეფიციტი.

თანამედროვე ეტაპზე ეფექტურად მომუშავე შრომის ბაზრის ჩამოუყალიბებლობა სერიოზულად აფერხებს ქვეყნის განვითარებას. და პირიქით, ეკონომიკური სტაგნაცია შრომის ბაზრის ფორმირებისა და ფუნქციონირების ხელშემშლელი ფაქტორია. ამიტომ სამეწარმეო საქმიანო-ბისათვის საჭირო საკანონმდებლო-ორგანიზაციული პირობების გაუმჯობე-სებასთან ერთად, აუცილებელია შრომის ბაზრის ელემენტების განვითარების ხელშეწყობა და ამ სფეროში ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართვე-ლობის ორგანოების როლის გაზრდა.

პროფესიული განათლების მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულებების კვლევა ჩატარდა 2015 წლის ნოემბერ-დეკემბერში (2801 გამოკითხული). კვლევის ანგარიში მომზადდა „ეისითის“ მიერ. [3]

აღსანიშნავია, რომ პროფესიული განათლების და გადამზადების ცნობადობა საქართველოს მოსახლეობაში მაღალია - ამის შესახებ მოსახლეობის უმრავლესობას (88%) სმენია. პროფესიული სწავლებების / პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიღების ყველაზე სასურველი წყარო ტელევიზიაა (62%). ტელევიზიის შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს ინტერნეტს (37%) და ნაცნობ-მეგობრებს (28%). საგანმანათლებლო რესურს ცენტრის საინფორმაციო ან პროფორიენტაციის სამსახურის შესახებ სმენია საქართველოს მოსახლეობის 42%-ს, ხოლო გამოკითხულთა ნახევარზე მეტს (58%) არ სმენია.

რესპონდენტთა უმრავლესობა (66%) თვლის, რომ მათ მიერ მიღებული პროფესიული განათლება გამოადგათ ზოგადად ცხოვრებაში. გამოკითხულთა ნახევარზე ცოტა მეტისთვის (53%) პროფესიული განათლება სასარგებლო აღმოჩნდა მათი პროფესიული საქმიანობისთვის. რესპონდენტთა 18% მიიჩნევს, რომ პროფე-

სიული განათლება დაეხმარა შემდგომი განათლების მიღებაში. [4]

საქართველოს მოსახლეობისთვის საბაზისო განათლების მიღების შემდეგ ყველაზე სასურველ ქცევად საშუალო სკოლის დასრულება და უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარება განიხილება - გამოკითხულთა ნახევარზე ცოტა მეტი (57%) სწორედ ამას ურჩევდა ახალგაზრდას საბაზისო სასკოლო განათლების დასრულების შემდგომ. საგულისხმოა, რომ გამოკითხულთა თითქმის მეხუთედისთვის (19%) საბაზისო სასკოლო განათლების მიღების შემდგომი სასურველი გზა საშუალო სკოლის დასრულება და პროფესიული განათლების მიღებაა. კვლევის შედეგების მიხედვით ირკვევა, რომ საქართველოს მოსახლეობის ყველაზე დიდი ნაწილი (45%) თვლის, რომ უმაღლესი განათლების მქონე პირებთან შედარებით პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებულებს დასაქმების უფრო ნაკლები შანსი აქვთ. მოსახლეობის მესამედი (33%) თანაბრად აფასებს უმაღლესი განათლების მქონე პირთა და პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულებთა შანსებს დასაქმების კუთხით. ხოლო 17% მიიჩნევს, რომ პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულებს დასაქმების უფრო მაღალი შანსები აქვთ. [5]

პროფესიული განათლება უმეტესწილად ფასდება, როგორც პრესტიჟული - მას მოსახლეობის უმრავლესობა (61%) როგორც პრესტიჟულს, ხოლო 5% როგორც ძალიან პრესტიჟულს აფასებს. საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი (62%) თვლის, რომ პროფესიული განათლების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება იცვლება დადებითად, თუმცა ეს ცვლილება ნელი ტემპებით მიმდინარეობს. საჯარო პროფესიულ სასწავლებელს კონკურენტუნარიანად აფასებს გამოკითხულთა უმრავლესობა (76%), მაშინ, როდესაც კერძო სასწავლებელს კონკურენტუნარიანად მიიჩნევს მოსახლეობის მხოლოდ ნახევარზე ცოტა მეტი (56%), რაც იმის ვარაუდის საფუძველს გვაძლევს, რომ მოსახლეობის აღქმაში საჯარო სასწავლებლები უფრო კონკურენტუნაირანად აღიქმება.

დასკვნა

შრომის ბაზრის ეფექტიანობა შეუძლებელია მისი მოქნილობისა და ცვლილებებზე სწრაფი რეაგირების გარეშე. ხელმისაწვდომი უნდა იყოს ინფორმაცია ეკონომიკისა და დასაქმების სფეროში მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ. საქართველოს შრომის ბაზარზე არსებული კადრების პროფესიული ცოდნა და მომზადების ხარისხი ხშირად არ შეესაბამება დამსაქმებელთა მოთხოვნებს.

პროფესიული განათლების და გადამზადების ცნობადობა საქართველოს მოსახლეობაში მაღალია. პროფესიული განათლება უნდა გახდეს პიროვნების კარიერული განვითარების რეალური და ფასეული გზა. საჭიროა სტუდენტთა პრაქტიკული სწავლების, პროფესიული ცოდნისა და კომპეტენციების რეალურ სამუშაო გარემოში დაუფლების შესაძლებლობების მეტი მხარდაჭერა. აუცილებელი და საჭიროა ბიზნეს კომპანიების მეტი ჩართულობა პროფესიული განათლების სისტემაში და მათი დაინტერესების ხელშეწყობა კადრების მომზადების საქმისადმი. კერძო კომპანიების ჩართულობა ხელს შეუწყობს პროფესიული განათლების როლის გაძლიერებას ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და სისტემის მიმზიდველობის ზრდის პროცესში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თამარ კაკუტია – „ადგილობრივი შრომის ბაზრის როლი პროფესიული განათლების დაგეგმვასა და განვითარებაში“. თბ., 2017.
2. 2018 წლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრე–ბულთა კვლევის ანგარიში (Tracer Study), კვლევის ანგარიში მომზადებულია „ეისითის“ მიერ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთვის, თბ., 2019.
3. აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) – „საქართველოს ეროვნული შრომის ბაზრის კვლევა“. 2010.
4. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის 131 დადგენილება „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“. 2019.
5. ACT-მიერ გაეროს განვითარების პროგრამისთვის (UNDP) განხორციელებული – „პროფესიული განათლების მიმართ დამსაქმებელთა დამოკიდებულების კვლევა“. 2015.

Local labor market and its impact on vocational education in Georgia

Tinatin Iashvili, Professor of Georgian Technical University
Nona Gudushauri, PhD Student of Georgian Technical University

Summary

Vocational education is an important part of the socio-economic field, which largely contributes to the strength and progress of the country. An important area of vocational education is to assist the local and international labor market in the training of relevant qualified personnel.

Georgia's vocational education system is not yet perfect, and state reforms require more speed and flexibility. One of the important problems remains the involvement of partners. The employer himself must be more involved and interested in the student's learning process as he gets the kind of staff he needs. In order to develop an effective state policy in the field of employment, it is necessary to systematically study the market situation, current and expected trends, and the causes of unemployment.

In this article is discussed the issues of the local labor market and its impact on vocational education in Georgia.

Keywords: Labor market, vocational education, employment, professional qualifications, competitiveness.